ტალანტების მართვის სისტემის გავლენა ორგანიზაციის განვითარებაზე

ქეთევან ნახუცრიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თათული დუშუაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. „

ქეთევან ნახუცრიშვილი

18.06.2022

აბსტრაქტი

ნაშრომში შეფასებულია ტალანტების მართვის სისტემის გავლენა ორგანიზაციის განვითარებაზე. ტალანტების მოზიდვისა და მართვის საკითხები მსოფლიოში აქტუალური პრობლემაა, გლობალური კომპანიები განიცდიან კვალიფიციური პერსონალის სიმცირეს. მსოფლიო ბაზარზე არსებული გამოწვევები ტალანტების მოძიების, განვითარებისა და შენარჩუნების კუთხით ქართულ ბაზარზე მოქმედ ორგანიზაციებზეც ვრცელდება. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ტალანტების მართვის სისტემის გავლენის განსაზღვრა ორგანიზაციის განვითარებაზე და ქართული კომპანიებისათვის რეკომენდაციების გაცემა. საკვლევ საკითხებად იდენტიფიცირდა შემდეგი კომპონენტები: ტალანტების მართვის სისტემაში არსებული მიდგომები და სტრატეგიები გლობალურ ორგანიზაციებში, რომლებიც შეფასდა შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, ტალანტების მართვის სისტემის განხორციელების მექანიზმები ორგანიზაციაში, ტალანტების მართვის მიმართულებით საქართველოში არსებული მიდგომების შესწავლა და ანალიზი, ტალანტების მართვის სისტემა, როგორც ორგანიზაციის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად, შეირჩა თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუს ტექნიკა. მიზნობრივი შერჩევითა და „თოვლის გუნდის“ მეთოდით არჩეულ იქნენ ქართული ორგანიზაციების მენეჯერული რგოლის თანამშრომლები, რომელთა კომპანიაშიც ინერგება ან დანერგილია ტალანტების მართვის სისტემა.

კვლევის შედეგების თანახმად დადასტურდა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ტალანტების მართვის სისტემის დანერგვა ორგანიზაციის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია. რესპოდენტებმა ხაზი გაუსვეს ტალანტების მართვის არაერთ სარგებლიანობას კომპანიისთვის, როგორიცაა ტალანტების მოზიდვა, განვითარება, შენარჩუნება, კომპანიის მაღალი კონკურენტუნარიანობა, ბიზნესის უწყვეტობა, რაც აუმჯობესებს ორგანიზაციის შედეგებს.

გამოკითხვის პასუხების გათვალისწინებითა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით ქართულ კომპანიებს განესაზღვრა რელევანტური რეკომენდაციები ტალანტების მართვის სისტემის დანერგვისა და მენეჯმენტის კუთხით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტალანტი, ტალანტების მართვის სისტემა, პროგრამული უზრუნველყოფა, ორგანიზაციული განვითარება.

Abstract

The paper evaluates the impact of the talent management system on the development of the organization. The issue of attracting and managing talent is a pressing problem in the world, global companies are experiencing a shortage of qualified staff. Challenges in the world market in terms of finding, developing and retaining talent also apply to organizations operating in the Georgian market. The aim of the research was to determine the impact of talent management on the development of the organization and to give recommendations to Georgian companies. The following components were identified as research issues: approaches and strategies in the talent management system in global organizations, which were evaluated based on the review of relevant scientific literature, mechanisms for implementing the talent management system in the organization, study and analysis of approaches in Georgia.

To check the hypothesis, a qualitative research method, namely in-depth interview technique, was selected. Employees of the managerial circle of Georgian organizations were selected through targeted selection and the "Snow Team" method, in whose company a talent management system is introduced or is being introduced.

Based on the results of the research, the hypothesis was confirmed, according to which implementation of a talent management system is a contributing factor to the development of the organization. Respondents highlighted the many benefits of talent management for the company, such as attracting, developing, retaining talent, high competitiveness of the company, business continuity, which improves the results of the organization.

Based on the survey responses and best practices, Georgian companies were identified with relevant recommendations for the implementation and management of a talent management system.

Keywords: Talent, Talent Management System, Software, Organizational Development.